



K 140. 291
3

נַחֲלָה תְּמִימָה



נַחֲלָה תְּמִימָה

...בְּבֵבֶל...



କୁଳାଳ ପାତାଳାଳ

ଶରୀରକାଳ

୩

କାଳ

K 140.291
89

ଶରୀରକାଳ ୧୯୮୦ୟୁଲୁ 1970




8-93:8 c 99962 5-1



ცნობილი აფხაზი პოეტი ბაგრატ შინკუბა დაბადა-
და 1917 წელს. პირველი წიგნი გამოსცა 1938 წელს.
სამამულო ომის პერიოდში პოეტმა მრავალი კარგი
ნაწარმოები შექმნა. განსაკუთრებით შეიცვარა ხალხმა
მისი პოემა — „მახვილი“.

შეითხველი ბაგრატ შინკუბას ჩამდენიშე წიგნს.
იქნიბა — „ლექსები და პოემები“, „ზაფხული“, „და-
თვის ტეკა“, რომბინ ლექსალ — „ჩემი მიწაშულის ხალ-
ხი“ და სხვა... მისი ნაწარმოებები ითარგმნება მრავა-
ლი ქვეყნის ხალხთა ენებზე.

1967 წელს ბაგრატ შინკუბას აფხაზეთის სახალხო
პოეტის წოდება მიენიჭა.



თარგმნა რევაზ მარგიანმა

მხატვარი გ. ალექსი - მესხიშვილი

[20] 23. apr. 21 no. 153.



მიცუნცულებს გზაზე შელა,
 ფაფუკი აქვს მელას კუდი,
 ნაბიჭები შეანელა,
 იქნებ რამე იგრძნო ცუდი?
 მოიხედა, ტყის ნაპირას
 ბულბული ზის ტოტზე, ფრთხილი.
 ხე ყვავილით დაპენტილა
 და მგალობლის მოძახილი
 ეფინება არემარეს.
 მოჩუხჩუხებს ნაკადული,
 მზე ოქროს თვალს აბრიალებს,
 ძალაშია გაზაფხული!

უცხად შედგა ერთი წუთით,
 გაისუსა გზაზე მელა,
 სველ მიწაზე დადო კუდი
 და კისერი წაიგრძელა.

მშიერია, რა ჰქნას მელამ,
 გულსაკლავად ტირის, წყავის,
 ნერწყვით ჩაიგემრიელა
 პირი, ცეცხლით დასაწვავი!

ეშმაკურად მიცუნცულდა,
 გრძელი კუდი მოიშველა,
 ბულბულის წინ აჩურჩულდა,
 სანთელივით დადნა მელა:

— გამარჯობა, საყვარელო,
 გამოცვლილხარ, ვეღარ გიცან,
 რომ მენახე, სანატრელო,
 მოვიარე დედამიწა.

ჩამოფრინდი, ერთადერთო,
 აქვე, ჩემთან იყავ ახლო,
 მსურს შენს თვალში ჩავიხედო,
 რომ ქვეყანა დავინახო!

— მე იხედაც თავს ვგრძნობ კარგად,
 მაქანავებს ტოტი ნელა,
 რამე ხომ არ დაგეკარგა,
 რისთვის მოხველ, ჩემო მელა? —

გაუღიმა ბულბულს მელამ,
 ჩაიცინა, ჩაახველა:

— ამ წანწალმა მომინელა,
 30ხეტები შარტოხელა!

ალბათ მოშედავს მტრების შიში,
 უცელგან თოფით დამდევს მწყემსი,
 ძალლიც მაგდებს გასაჭირში,
 უპატრონოდ ტურში ვკვნესი!

როცა მივალ საქათმესთან,
 მთელი ტანი მიცახცახებს,
 იქნებ მტერი დანას ლესავს,
 იქნებ მიგებს მტერი მახეს.

სულ ვტრიალებ, სულ ვწანწალებ,
 ჩემთვის დღისით დგება ღამე,
 მუდამ ვიღაც მითვალთვალებს,
 მაციებს და მაკანკალებს.

ხან შიში მაქვს მონადირის,
 ხან ექლით ვარ დაკაწრული,
 სისხლი მდის და ჩუმად ვტირი,
 დაღლილი და დაქანცული.

ხან საქათმის კარებს ვკოცნი,
 არაფერი მაიმედებს,
 ვისაც უყვარს ქათმის ხორცი—
 ჩემთვის ძვალსაც არ იმეტებს!

ხან ქარივით დავქრი მალი,
 გაჭირვება ბევრი ვძლიე,
 ეს ხომ იცი, რომ' მაძლარი
 ვერ გაუგებს გუმანს მშიერს!

შენ კი ცხოვრობ თავისუფლად,
 დანაგარდობ მინდორ-ველად,
 ყვავილების სურნელს სუნთქავ,
 უშრომლად და უდარდელად.

„ვასარადას“ ტკბილად მღერი,
 ნეტარებით ნაბავ თვალებს,
 იმ დღიდან ხარ ბეჭნიერი,
 რაც სიმღერა შეისწავლე.


მე კი... რა ვქნა, ვერ ვისწავლე,
 ის მეყოფა მარტო დარდად,
 გევედრები, გენაცვალე,
 შემასწავლე „ვასარადა“.

ვიგალობებ მეც შენსავით,
 გავიხარებ უოველ დილით,
 ახლობელი, ნათესავი
 რომ მოვხიბლო მოძახილით.

მგალობელი აუღურტულდა,
 ტოტს ნისკარტი დაჲჭრა ნელა,
 ფრთა მიიკრა უცბად გულთან,
 დაშვიდებით უთხრა მელას:

— ცბიერო და გაიძვერავ,
 ხეტიალობ მარტოდმარტო,
 ოთხი ფეხით ტყე-ლრეს სერავ,
 ახლა ჩიტის ფრთებსაც ნატრობ.

დაგიფარავს ბეჭვით ტყავი,
 გაქვს სიცივის საფარადა...



მგალობელი როცა წკნავის,
 30-ი ისწავლის „ვასარადას“.

ქათმებს თუ არ მიაკითხავ,
 ხელს არ ახლებ მამალს ჩავლილს,
 მხოლოდ მაშინ, გაძლევ სიტყვას.
 შენ სიმღერას შეგასწავლი.

— ხელს არ ვახლებ დედალს, მამალს,
 ვფიცავ დედიხემის თვალებს,
 გვვედრები მხოლოდ ამას —
 „ვასარადა“ შემასწავლე!

— თუ ასეა, აბა სმენა!
 მოემზადე, ჩემო მელა,
 კურადღება, ვიწყებ სტვენას! —
 უცბად მელამ ჩაახველა...

შეფრთხიალდა ტოტშე ჩიტი,
 შემოსძახა უდარდელად:

— ჰაი, გიდი,
 ჰაი, გიდი! —
 მიპქრის ჩიტი,

მისდევს მელა,
 მიპქრის ლალი მგალობელი,
 შეაღწია ულრან ტყეში.
 — ღმერთი იყოს მწყალობელი, —
 დაქანცული მელა ხვენეშის.
 მისდევს, მისდევს წუწყი მელა:
 — ნელა, ჩიტო, ნელა, ნელა! —
 აგერ უკვე მდინარეა,
 აქოჩრილი ტალღა ლელავს.

დაიღალა, რა ჰქნას მეღამ.
 ახლოს უკვე სოფელია,
 ბეღელი ჩანს ვებერთელა
 და ქათმები ბეღელს ირგვლივ
 ია-ვარდად მოჰყენია.

მგალობელმა უცხო ხმაზე
 შემოსშახა: „ტია, ტია!“
 ჩვენს წენაზე ითქმის ასე:
 „ლამაზია, დი-ა, დი-ა!“

აიხედა მეღამ მაღლა,
 ეხარბება, სხვა რომ მლერის,
 ფიქრობს, ფიქრობს, რა ჰქნას ახლა,
 ჩაიწმინდა ნერწყვით უელი.

ხმა აღმოხდა საცოდავად,
 მაგრამ აღარ გაათავა:
 — იუ-ა-ვა, იუ-ა-ვა,
 იუ-ა-ვა, იუ-ა-ვა!....

ამ ყვირილზე საიდანდაც
 ათიოდე გაჩნდა ძალლი,
 გული უწუხს, რა ჰქნას ახლა,
 ცველა მისდევს მეღას, დაღლილს.

შემობრუნდა მეღა სწრაფად
 ბარდებსა და ეკლებს შუა,
 ეშმაკურად გზა გაკაფა
 და მდევრები მოატყუა.

ტყის ნაპირას შედგა მელა,
მგალობელი ტოტზე გალობს,
მზეც შუქს აფრქვევს ხვავრიელად
ამა ქვეყნის სამოწყალოდ.

მოისაწყლა თავი მელამ,
შეანათა ბულბულს თვალი.
— შენ რომ არა, ჩემო ყველავ,
ვიქნებოდი ახლა მკვდარი!

ეკლითა მაქვს სავსე სახე,
შველა უნდა ძმობილს ამ დროს,
ტავილისგან თვალს ვერ ვახელ,
გთხოვ, ნისკარტით ამომაძრო!

— არა! არა! ეს ნისკარტი
არც მაშაა და არც გაჭი. —
სულ არა აქვს ეკლის დარდი,
განთქმულია სილამაზით.

— მგალობელი ჩიტი მქვია,
ქვეყანაზე მისთვის ვგალობ,
უველა ჩიტს და ადამიანს
რომ სიმღერა შევასწავლო!

უნდა გითხრა გულახდილად,
წქნავი, წქნავი საცოდავად,
ნეტავი არ მომესმინა —
„იუ-ა-ვა, იუ-ა-ვა“.

არ გაქვს ნიჭი, არ გაქვს სმენა,
ხრინწიანი ხმა გაქვს კიდევ,

ვეჭვობ შენგან, ჩემო მელავ,
 მომღერალი გამოვიდეს!

— კარგი ხმა მაქვს, არა მიშავს,
 გამიცივდა გუშინ ყელი,
 ცოტათი ხმაც ჩამეხლია
 და ამიტომ ველარ ვმღერი!

— თუ ახეა, მომყე მელავ, —
 მოემზადა გასაფრენად,
 ჩიტბა ყელი მოიღერა,
 მელა უკან დაედევნა.

რა ჰქინას მელამ, სუნთქავს მძიმედ,
 უჭირს, უჭირს, დაიღალა,
 დაღლილ თვალებს აციმციმებს,
 გაჭირვებას ველარ მალავს.

ბევრი ბუჩქი დარჩა უკან,
 ღელე, ტბა და ნაკადული,
 ეკალ-ბარდი, გზა და შუქა
 ერთმანეთში ჩახლართული...

* * *

აუცრია სიმინდს ტანი
 და მზე თბილად დასციმციმებს,
 სიმინდს შვენის დილის ნაში —
 მოგვაგონებს ვერცხლის მძივებს.

გამრჩე გლეხი ყანას თოხნის,
 მასთან თოხნის საში ვაჟი:

და მათ ტანზე ახალუხი
ელავს, როგორც გარიურაუი.

გაუხარდა ბულბულს ძალზე,
მოიხიბლა მათი მზერით,
შეფრთხიალდა და იმწამსვე
ხმა გაისმა მშვენიერი.

ზის გვიმრებში წუწკი მელა,
გამშრალ ტუჩებს ენით ლოკავს,
შია ხაწყალს, თანაც ცხელა,
დაექაწრა ექლით ლოყა.

უცბად ჭიშკარს ალებს ქალი,
გამოვიდა შარაგზაზე,
უფრიალებს თავსაუარი
და კალათა უდგას მხარზე.

შედგა ქალი, სადაც თხმელას
გაუშლია ფართოდ კალთა,
ძირს კალათა დადგა ნელა,
ქმარ-შვილისკენ გაემართა.

სასწაულიც ხდება ალბათ,
არა, მელა ცხადში ხედავს!
გვიმრებიდან უცქერს ხარბად,
ქონი გასდის შემწვარ დედალს.

სურნელება ათრობს ქათმის,
გააბრუა, დაანელა:
— გმადლობთ, ქალო, ძლვენისათვის! —
სამადლობელს ამბობს მელა.



მთელი ტანი უკანკალებს,
 მიცუნდულებს ნელა-ნელა,
 სუნთქვაც შექრა, ცბიერ თვალებს
 ახაშხამებს წუწყი მელა.

გაელვიძა უფრო მაღა...
 ჲა, კალათა, აგერ თხმელაც,
 პირი სწრაფად სტაცა ქათამს,
 მოსახვევში გაძქრა მელა.

ეს ამბავი მგალობელმა
 შენიშნა და იწყო სტვენა:
 — აქეთ, ქალო, აქეთ, ქალო!
 აგერ მორბის წუწყი მელა!

ჩიტის ხმაზე შედგა ქალი,
 შეტკივლა და მიაწყევლა:
 — ვაი ჩემი ცოდვის ბრალი,
 ეს რა გვიქნა წუწყმა მელამ!

— დერგეუ, მურა! ხომ არ გძინავთ!
 არ გაუშვათ ქათმის ქურდი,
 ხედავთ, როგორ შეგვარცხვინა.
 მიაკვნიტეთ მელას კუდი! —

უველამ ტყისკენ მიაშურა,
 უველამ მელას მიაწყევლა:
 — ჲამ, ჲამ, დერგეუ!
 — ჲამ, ჲამ, მურა! —
 მაგრამ არსად არ ჩანს მელა!

ესმის ყეფა, მიძქრის მელა
 და აბზიკა ჟემოთ კუდი.

წინ კისერი წაიგრძელა,
თითქოს ჩაღაც იგრძნო ცუდი!

დაიღალა, რა არ სცადა,
ადგას მწარე გასაჭირი,
ქათამს ერთი აკოცა და
სინანულით უშვა პირი.

სულს ძლივს ითქვამს, კარგავს იმედს,
წინ კლდე არის აღმართული,
მარჯვნივ ტბაა მოლივლივე,
შამბნარებით ჩახლართული.

სად წავიდეს? დაიქანცა,
კვნესის, ტირის, მწარედ ხვნეშის...
სიხარულმა აიტაცა,
ფულურო ჩანს, მგონი, ხევში.

ფრთა შეეხა დალლილს, მშიერს,
ფულუროში შეძვრა მალი.
ძალებმა ვერ შეამჩნიეს,
ვერვინ მოჰკრა მელას ოვალი.

— ჰამ, ჰამ, დერგევ!
— ჰამ, ჰამ, მურა! —
დაეკარგათ ძალებს ფერი.
ჯმუხა მუხებს დაუბურავთ
ხევში ირგვლივ ყველაფერი.

ფულუროში განაბული
მელა სუნთქვას ვეღარ ბედავს,
ლამის არის მელას გული

ამოვარდეს საგულედან!
ფუღუროში მეღა ტირის,
მტირალ თვალებს აბრიალებს:

— ვაი თქვენდა, ჩემი ჭირი, —
წყევლას უთვლის თავის თვალებს:
— ეჭ, თვალებო, საძაგლებო,
მე გივლიდით საგანგებოდ,
ახლა მივხვდი, მხოლოდ ახლა,
ჩემთვის არ ხართ სასარგებლო!

თვალებს ცრემლი წამოსცვივდათ:
— ეს რა გვესმის, ვაი, დედა!
მწვანე მიწას, ზეცას წმინდას,
ამ ქვეყანას ჩვენით ხედავ!

მხოლოდ ჩვენი ელვარებით
ფუღუროსთან გაჩნდი მალი
და თუ ვეღარ გხედავს მტერი,
მაღლობელი იყავ თვალის!

— ვაი თქვენდა, ჩემი ჭირი, —
მიუბრუნდა თავის ყურებს:
— თქვენ არ გესმით, მე რომ ვტირი,
დამიხედეთ უმაღლურებს!

ეჭ, ყურებო, საძაგლებო,
რით არ გწმინდდით საგანგებოდ,
ახლა მივხვდი, მხოლოდ ახლა,
ჩემთვის არ ხართ სასარგებლო! —

ყურმა წივილს მოუმატა:
— უსამართლოდ რატომ გვწყევლი,

უმაღლური რად ხარ, რადა,
ჩვენ ვართ მხოლოდ შენი მხსნელი!

ჩვენ რომ არა, აბა რითი
გაიგებდი ხმას და სტვენას.
რას ეძახდა იმ ქალს ჩიტი,
პირველად ვინ მოგახსენა?

— კარგი, კმარა, თქვენი მჯერა,
ენა ვინდა წაგიგრძელათ?
თვალი ფეხებს მიაშტერა,
ახლა მათაც მისწვდა მელა:

— ეს, ფეხებო, საძაგლებო,
წყალში გდანდით საგანგებოდ,
ახლა მივხვდი, მხოლოდ ახლა,
არ ყოფილხართ სასარგებლო!

თქვენ სიცოცხლე გამიმწარეთ,
გზები ამიცორიაქეთ,
ტყეში, ღრეში, ყოველ მხარეს
აყენებდით კორიანტელს!

— ვაი, ვაი, ეს რა გვითხრა,
საყვედური ვინ თქვა ჩვენი?
დაიხსომე, მელავ, დიღხანს,
ჩვენ ვართ შენი გადამრჩენი!

— კარგი, კარგი! დამეხსენით,
არ ყოფილხართ ჩემთვის ცუდი!
მაგრამ კუდი? ჩემი მხსნელი
არ ყოფილა თურმე კუდი!

190.291
3
1/1





ჰედმეტ ტვირთად, კუდო, მყავდი
და შენს გამო მყავდა მტერი,
ჩემთან ერთად დაცოცავდი
უქნარა და უდარდელი!

— ჩემით იყავ დარღიმანდი,
ამაულდი შენი კუდით,
თან დაგდევდი, როგორც ლანდი,
არ ვიცოდი, თუკი გძულდი!

— ჰედმეტი ხარ, — უთხრა მელამ, —
არ მსურს შენით ვიტრაბახო, —
და ძალლების საჭირებელად
ფულუროდან კუდი გაჟყო.

— კუდი! კუდი! — ატყდა უეფა,
დაესია ძალლის გუნდი,
სისხლით შეიღება წითლად
საცოდავი მელას კუდი.

გამოსწიეს ფულუროდან,
დაითრიეს ნელა-ნელა
და ძალლების ფეხქვეშ თრთოდა
ნირწამხდარი წუწკი მელა.

* * *

გლეხი ისევ ყანას თოხნის,
მასთან თოხნის სამი ვაჟი
და მათ ტანზე ახალუხი
ელავს, როგორც გარიფრაჟი.

სიმინდს არხევს სიო გრილი,
 თან შემღერის ყანას ნანას,
 და გლეხების მოძახილი
 ახმიანებს ლამაზ ყანას.

მგალობელი ისევ მღერის,
 მზეს შესძახის „ტია-ტიას“,
 და სიმღერა ბედნიერი
 ქვეყანაზე მიაქვს ნიავს.



Шинкубз Баграт Васильевич
СОЛОВЕЙ И ЛИСА

сказка

(На грузинском языке)

Художник Г. Алекси-Месхишвили

Детюниздат Грузинской ССР

„Накадули“, Тбилиси, 1970 г.

შეცდოსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის

რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექニკა და კონსულტაცია ლ. ჭვარცხავა
კორექტორი თ. ინჯია

ხელმოწერილია დასაბუძდად 25/IX-69 წ.

ქაღლდის ზომა 70 90^{1/16}

ნაბეჭდი თაბაბი 1,5

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაბი 1,2

ტირაჟი 7000 ფასი 15 კაპ. № 1698

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. „Накадули“ ул. Марджанишвили № 5

თბილისის ოფსეტური ბეჭდვის ფ-კა, ბროსეს ქ. № 2
Тбилисская Ф-ка офсетной печати, ул. Броссе, 2

3160/1086

